სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება # 571
(ოქმი # 503

თბილისი 2023 წლის 14 დეკემბერი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის წარდგინება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ და სამეურვეო საბჭოს 2008 წლის #108 (ოქმი #68) გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დებულების მე-3 პუნქტის 3.1. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1. მაუწყებლის სტრუქტურაა:

• სამეურვეო საბჭო და მისი აპარატი;

• გენერალური დირექტორი;

• დირექტორთა საბჭო;

• ახალი და მიმდინარე ამბები, რომლებსაც ხელმძღვანელობს ახალი და მიმდინარე ამბების დირექტორი. ახალ და მიმდინარე ამბებში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია:

- ცენტრალური მართვის აპარატი;
- ✓ ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების აპარატი;
- ✓ მედია პროდუქციის წარმოების აპარატი;
- ანალიტიკური სამსახური;

• მედია, რომელსაც ხელმძღვანელობს მედიის დირექტორი. მედიაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია:

- პირველი არხი;
- რადიო 1;
- რადიო 2;
- ტელეფილმები;
- მზა პროდუქციის შესყიდვისა და თარგმნა/გახმოვანების სამსახური;
- არქივი;

• ტექნიკა და ტექნოლოგიები, რომელსაც ხელმძღვანელობს ტექნიკური დირექტორი. წარმოების ტექნიკურ უზრუნველყოფაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია:

- გავრცელების უზრუნველყოფის სამსახური;
- მაუწყებლობის სამსახური;
- წარმოების უზრუნველყოფის სამსახური;
- ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური;

• ფინანსები და ადმინისტრაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ფინანსური დირექტორი. მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია:

- ფინანსური ანალიზის და ფინანსური აღრიცხვის სამსახური;
- შესყიდვების სამსახური;
- ადმინისტრაცია;
- საქმისწარმოების სამსახური;

- მარკეტინგი და კომუნიკაცია.

• ახალი მედია და ინოვაცია;

• ადამიანური რესურსების მართვის სამსახური;

• იურიდიული სამსახური;

• შიდა აუდიტის სამსახური.".

ბ) დებულების მე-3 პუნქტის 3.1.3. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1.3. მედია, როგორც სტრუქტურული ერთეული:

- უზრუნველყოფს პროგრამული პრიორიტეტების, მაუწყებლის სტრატეგიის მოთხოვნების და დებულებების, ასევე სამაუწყებლო პილიტიკის, მარკეტინგული და სოციოლოგიური კვლევ(-ებ)ის მონაცემების და შედეგების საფუძველზე სამაუწყებლო ბადის მომზადებას და დასამტკიცებლად წარდგენას;

- უზრუნველყოფს მზა პროდუქციის შერჩევა/შესყიდვას;

- უზრუნველყოფს შემეცნებით-საგანამანათლებლო გადაცემების/პროექტების წარმოებას;

- ტელეფილმების, როგორც სტრუქტურული ერთეულის, მეშვეობით უზრუნველყოფს ტელეფილმების შიდა/გარე წარმოების შერჩევასა და მონიტორინგს;

- რადიო 1-ის და რადიო 2-ის, როგორც სტრუქტურული ერთეულების, მეშვეობით უზრუნველყოფს დამტკიცებული პროგრამული ბადის საფუძველზე შესაბამისი პროექტების დაგეგმვა/მომზადებას, პროექტების განვითარებას;

- არქივის, როგორც სტრუქტურული ერთეულის, მეშვეობით უზრუნველყოფს:

- მაუწყებლის კინო-ფოტო, აუდიო-ვიდეო ფონდებში დაცული მასალების დადგენილი სტანდარტებით დაცვას და აღრიცხვას;

- ფონდებში დაცული მასალების ციფრულ ფორმატში გადატანას;

- არქივისთვის ახლად შექმნილი მასალების დამუშავება-აღრიცხვას;

- მაუწყებლის ფონდებში დაცული მასალების ხელმისაწვდომობას მაუწყებლის სხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის;

- ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და შიდა აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

გ) დებულების მე-3 პუნქტის 3.1.5. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1.5. ფინანსები და ადმინისტრაცია, მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით უზრუნველყოფს:

- მაუწყებლის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას შემდგომი დამტკიცების მიზნით, ბიუჯეტის შესრულების კონტროლს და მონიტორინგს და ანალიზს, ფინანსური ოპერაციების აღრიცხვას და ანგარიშგებას;

- ფინანსუირ რესურსების მაქსიმალურად ოპტიმალური მართვას და მაუწყებლის უწყვეტი ფუნქიონირებას;

- საქონლის, სამუშაოების და მომსახურების შესყიდვების ორგანიზებას და განხორციელებას, რომელიც სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს შესაბამის მარეგულირებელ ნორმებთან;

- ორგანიზაციის მარკეტინგული გეგმის შემუშავებას, მარკეტინგული კამპანიების დაგეგმვას და შესრულებას;

- საზოგადოებასთან ურთიერთობების და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებებს;

- საქმისწარმოებას;

- მაუწყებელს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სამეურნეო და სატრანსპორტო მომსახურებას;

- ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და შიდა აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.".

დ) დებულების მე-3 პუნქტის 3.1.6. ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას, ხოლო ამავე პუნქტის 3.1.7., 3.1.8. და 3.1.9. ქვეპუნქტები გადაინომროს 3.1.6., 3.1.7. და 3.1.8. ქვეპუნქტებად შესაბამისად.

დანართი: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სტრუქტურის გრაფიკული გამოსახულება.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ვასილ მაღლაფერიძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

მიხეილ ჩიკვილაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

ზესიკ ლილუაშვილი

ლაშა ტუღუში

გიორგი კოხრეიძე

ზაზა აბაშიძე

თამილა დოლიძე

ლიკა ბასილაია-შავგულიძე

გრიგოლ მურღულია

იზაბელა ოსიპოვა

ბონდო მძინარაშვილი

დანართი #1 დამტკიცებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“
სამეურვეო საბჭოს მიერ N571 გადაწყვეტილებით (ოქმი N503)